ელექტროენერგიის ბაზარი საქართველოში

2024 წლის 9 თვის მიმოხილვა

ოქტომბერი 2024

ევა ბოჭორიშვილი
კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochorishvili@gt.ge

მარიამ ჩახვაშვილი
სექტორის უფროსი | mchakhvashvili@gt.ge

ძირითადი ტენდენციები

ელექტროენერგიის ბალანსი: 2024 წლის 9 თვეში მიწოდებამ 11.8 ტვტ.სთ შეადგინა. აქედან 11.3 ტვტ.სთ იყო ადგილობრივი გენერაცია, ხოლო 0.5 ტვტ.სთ იმპორტი.
მიწოდებული 11.8 ტვტ.სთ-დან, ადგილობრივმა მოხმარებამ საბითუმო დონეზე 10.4 ტვტ.სთ შეადგინა, 1.0 ტვტ.სთ გავიდა ექსპორტზე, ხოლო 0.4 ტვტ.სთ დაიკარგა ქსელში ტრანსპორტირებისას.

მიწოდება: ჰიდროსადგურების გენერაცია წლიურად 7.2%-ით გაიზარდა, როგორც უხვი ნალექის, ასევე მარეგულირებელი სადგურების ეფექტური მუშაობის ხარჯზე. ჰიდროსადგურების გენერაციის ზრდამ და ექსპორტის შემცირებამ იმპორტის მინიმალურ ნიშნულზე შენარჩუნება განაპირობა. ასევე შემცირდა თბოსადგურების გენერაციაც.

ადგილობრივი მოხმარება: 2024 წლის დასაწყისიდან ელექტროენერგიის მოხმარება კვლავ აღმავალ ტრენდს დაუბრუნდა, რაც ძირითადად კრიპტო-მაინინგ და მეტალურგიის სექტორების გამოცოცხლებით აიხსნება. ჯამში, 2024 წლის პირველ 9 თვეში ელექტროენერგიის ადგილობრივი მოხმარება წლიურად 5.4%-ით გაიზარდა და 10.4 ტვტ.სთ შეადგინა.

ექსპორტი: 2024 წლის 9 თვეში ექსპორტის მოცულობა წლიურად 28.8%-ით შემცირდა 1.0 ტვტ.სთ-მდე, ხოლო ღირებულებაში 49.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (-48.8% წ/წ). მთავარ საექსპორტო ბაზარად კვლავ თურქეთი დარჩა, ექსპორტის 82.8%-იანი წილით.

სავაჭრო ბალანსი: 2024 წლის 9 თვეში საქართველო კვლავ ელექტროენერგიის წმინდა ექსპორტიორად დარჩა. წმინდა ექსპორტმა 0.6 ტვტ.სთ ანუ 45.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ელექტროენერგიის ფასი საქართველოში წლიურად 7.9%-ით გაიზარდა და 5.6 აშშ ცენტი შეადგინა. საბალანსო ელექტროენერგიის ფორმირებაში ყველაზე მაღალი წილი კვლავ PPA-იან სადგურებს უჭირავთ.

ბაზრის სიახლეები: შეიცვალა წინასამშენებლო გარანტიის მიმართ მოთხოვნები განახლებადი ენერგიის პროექტებისთვის. ენერგეტიკული ბირჟაზე აქტიურობა კვლავ დაბალია.

ელექტროენერგიის გენერაცია

2024 წლის პირველ 9 თვეში ელექტროენერგიის ადგილობრივი გენერაცია 1.5%-ით გაიზარდა და 11.4 ტვტ.სთ შეადგინა.

ჰიდრო გენერაცია წლიურად 7.2%-ით გაიზარდა 9.5 ტვტ.სთ-მდე და ჯამური გენერაციის 83.5% შეადგინა. ზრდა გამოწვეული იყო ამ წლის სახარბიელო ჰიდროლოგიით და მარეგულირებელი სადგურების ოპტიმალური მუშაობით.

მნიშვნელოვნად, წლიურად 20.3%-ით შემცირდა თბოსადგურების გენერაცია, რაც გამოწვეული იყო გაზრდილი ჰიდრო გენერაციით და ექსპორტის შემცირებით.

გრაფიკი 1: ელექტროენერგიის გენერაცია, ტვტ.სთ



წყარო: სემეკი, გალტ & თაგარტი

ცხრილი 1: ელექტროენერგიის გენერაციის დინამიკა, 9 თვე 2024

ობიექტები	წლიური ზრდა
გენერაცია, სულ	**+1.5%**
თბოსადგურები	**-20.3%**
ქარის სადგურები	**-9.2%**
ჰესები	**+7.2%**
აქედან:	
ენგური-ვარდნილი	+2.4%
სხვა რეგულირებული ჰესები	+8.6%
დერეგულირებული ჰესები	+12.0%

ელექტროენერგიის მოხმარება

ელექტროენერგიის ადგილობრივი მოხმარება აღმავალ დინამიკას დაუბრუნდა და 2024 წლის პირველ 9 თვეში წლიურად 5.4%-ით გაიზარდა და 10.4 ტვტ.სთ შეადგინა. მატება საცალო (+5.7% წ/წ) და პირდაპირი მომხმარებლების (+14.0% წ/წ) გაზრდილი მოთხოვნის შედეგი იყო. ამასთან, აფხაზეთის რეგიონის მოხმარება წლიურად 4.4%-ით შემცირდა.

პირდაპირი მომხმარებლების მოხმარების 14.1%-იანი წლიური ზრდა კრიპტო-მაინინგ და მეტალურგიის სექტორების გამოცოცხლებით აიხსნება, რაც საერთაშორისო ბაზრებზე კრიპტო აქტივების და ფეროშენადნობების ფასების ზრდამ გამოიწვია. ამასთან, ეს საწარმოები ჯერ არ დაბრუნებიან თავიანთ მაქსიმალურ საწარმოო პოტენციალს. შესაბამისად, ელექტროენერგიის მოხმარების ზრდის პოტენციალი კვლავ მაღალია.

გრაფიკი 2: ელექტროენერგიის მოხმარება საბითუმო მომხმარებლების მიხედვით, ტვტ.სთ



ცხრილი 2: ელექტროენერგიის მოხმარების დინამიკა, 9 თვე 2024

მომხმარებელი	წლიური ზრდა
მოხმარება, სულ	**+5.4%**
აფხაზეთის რეგიონი	**-4.4%**
პირდაპირი მომხმარებლები	**+14.0%**
საცალო მომხმარებელი	**+5.7%**
აქედან:	
ეპ ჯორჯია მიწოდება და ენერგო-პრო ჯორჯია	+5.1%
თელმიკო და თელასი	+6.5%

წყარო: სემეკი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა 1: **საცალო მოხმარებაში** შედის თელასის, ენერგო-პრო ჯორჯიას, თელმიკოს და ეპ ჯორჯია მიწოდების ელექტროენერგიის ჯამური მოხმარება. ეპ ჯორჯია და თელმიკო დაფუძნდნენ 2021 წლის ივნისში და ემსახურებიან შესაბამისად ენერგო-პრო ჯორჯიას და თელასის ყოფილ აბონენტებს. ცვლილება გამოწვეული იყო საკანონმდებლო მოთხოვნებით.

შენიშვნა 2: **პირდაპირ მომხმარებლად** სავალდებულოდ რეგისტაციის კრიტერიუმია 0.4გვტ.სთ საშუალო-თვიური მოხმარება

ელექტროენერგიით საგარეო ვაჭრობა

ექსპორტი

2024 წლის 9 თვეში ელექტროენერგიის **ექსპორტის მოცულობა** წლიურად 28.8%-ით შემცირდა და 1.0 ტვტ.სთ შეადგინა. წელს ექსპორტის სეზონი აპრილის თვეში დაიწყო და აგვისტოს ჩათვლით გაგრძელდა. მთავარ საექსპორტო ბაზარად კვლავ თურქეთი დარჩა, ექსპორტის 82.8%-იანი წილით. ექსპორტის შემცირება უკავშირდება თურქეთის ბაზარზე ფასების კლების შედეგად ექსპორტიორების მხრიდან შემცირებულ ინტერესს.

ტოპ-3 ექსპორტიორი იყვნენ ბუქაფ სოლუშენზ, ქროს ბორდერ ტრეიდინგი და თბილისის საინვესტიციო ჯგუფი.

2024 წლის 9 თვეში თითქმის განახევრდა (-48.8% წ/წ) **ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები** და 49.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. კლება უკავშირდება როგორც მოცულობის, ისე საექპორტო ფასის კლებას. ექსპორტის საშუალო ფასი შემცირდა 28.1%-ით და კვტ.სთ-ზე 4.7 აშშ ცენტი შეადგინა.

ტრანზიტი

2024 წლის 9 თვეში საქართველოს გავლით თურქეთში 1.1 ტვტ.სთ (-48.1% წ/წ) ელექტრონერგიის ტრანზიტი განხორციელდა, რომლის 94.4% აზერბაიჯანიდან მოდიოდა, ხოლო დანარჩენი რუსეთიდან.

გრაფიკი 3: ელექტროენერგიის ექსპორტი ($ მლნ) და საშუალო ფასი (აშშ ცენტი/კვტ.სთ)



წყარო: სემეკი, საქსტატი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 4: ელექტროენერგიის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, ტვტ.სთ



წყარო: სემეკი, საქსტატი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 5: თურქეთში ელექტროენერგიის საშუალო წლიური ფასი, აშშ ცენტი/კვტ.სთ



წყარო: EPIAS, EVDS, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 6: თურქეთში ელექტროენერგიის საშუალო თვიური ფასი, აშშ ცენტი/კვტ.სთ



წყარო: EPIAS, EVDS, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 7: თურქეთში ელექტროენერგიის ტრანზიტი და ექსპორტი საქართველოდან, ტვტ.სთ



წყარო: სემეკი, გალტ & თაგარტი

იმპორტი

2024 წლის 9 თვეში ელექტროენერგიის იმპორტი წლიურად 17.8%-ით შემცირდა 0.5 ტვტ.სთ-მდე. იმპორტირებულ ელექტროენერგიის 88.7% რუსეთიდან განხორციელდა და თითქმის სრულად აფხაზეთის მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი. ეს იმპორტი სპეციალურ ფასად, კვტ.სთ-ზე 0.1 აშშ ცენტად განხორციელდა. იმპორტის დანარჩენი 11.3% შემოვიდა აზერბაიჯანიდან და ჯამურ მიწოდებაში უმნიშვნელო მოცულობას შეადგენდა (0.5%-ს). ამ მიზეზების გამო, ჯამურად, 2024 წლის 9 თვეში იმპორტულ ელექტროენერგიაში გადახდილმა თანხამ მხოლოდ 3.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

სავაჭრო ბალანსი

საქართველო ელექტროენერგიის წმინდა ექსპორტიორია 2022 წლიდან მოყოლებული. 2024 წლის 9 თვეში წმინდა ექსპორტმა 0.6 ტვტ.სთ (-36.4% წ/წ) ანუ 45.2 მლნ აშშ დოლარი (-52.4%) შეადგინა.

გრაფიკი 8: ელექტროენერგიის იმპორტი <u>დანიშნულების</u> მიხედვით, ტვტ.სთ



წყარო: სემეკი, საქსტატი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 9: ელექტროენერგიის იმპორტი <u>ქვეყნების</u> მიხედვით, ტვტ.სთ



წყარო: სემეკი, საქსტატი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 10: ელექტროენერგიით ვაჭრობა, ტვტ.სთ



წყარო: სემეკი, საქსტატი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 11: ელექტროენერგიით ვაჭრობა, მლნ აშშ დოლარი



წყარო: სემეკი, საქსტატი, გალტ & თაგარტი

ელექტროენერგიის ფასი საქართველოში

საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო გასაყიდი ფასი წლიურად 7.9%-ით გაიზარდა და კვტ.სთ-ზე 5.6 აშშ ცენტი შეადგინა. თვიურ ჭრილში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი მერყეობდა კვტ.სთ-ზე 4.6-5.9 აშშ ცენტის ფარგლებში.

საბალანსო ელექტროენერგიის მოცულობა წლიურად 55.1%-ით გაიზარდა 2.6 ტვტ.სთ-მდე და ჯამური მიწოდების 22.2% შეადგინა. მოცულობის ზრდა გამოიწვია ესკოს შესყიდვებში მტკვარი ენერჯისა და თბილსრესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის გაჩენამ, რაც თავის მხრივ მათი გასაყიდი ფასის ზრდას უკავშირდება. მეტი დეტალები თბოსადგურების ფასის ზრდის მიზეზებთან დაკავშირებით, იხილეთ წინა მიმოხილვაში.

გრაფიკი 12: საბალანსო ელექტროენერგიის მოცულობა (ტვტ.სთ) და გასაყიდი ფასი (აშშ ცენტი/კვტ.სთ)



გრაფიკი 13: საბალანსო ელექტროენერგიის მდგენელები, ტვტ.სთ



ბაზრის სიახლეები

ენერგეტიკული ბირჟა

ენერგეტიკულმა ბირჟამ ფუნქციონირება დაიწყო 2024 წლის პირველი ივლისიდან და ამჟამად რეგისტრირებულია 17 მომხმარებელი. ამ სამ თვეში განხორციელდა მხოლოდ რამდენიმე ტრანზაქცია და ჩვენ ვერ ვხედავთ სამომავლო აქტიური ვაჭრობის ნიშანს. მეტ აქტიურობას ენერგეტიკული ბაზრის პლატფორმაზე ველოდებით უბალანსობაზე პასუხისმგებლობის გააქტიურების შემდგომ, რაც 2025 წლის ივლისშია დაგეგმილი.

საბანკო გარანტიები

ინვესტორების ნაწილი, შესაძლოა განთავისუფლდნენ წინა-სამშენებლო გარანტიის წარდგენის ვალდებულებისგან. არსებული წესის მიხედვით, როდესაც ინვესტორი იწყებს განახლებადი ენერგიის პროექტის განვითარებას, ის აფორმებს ხელშეკრულებას/მემორანდუმს სახელმწიფოსთან პროექტის კვლევასა და მშენებლობაზე. ნებისმიერი ინვესტორი ვალდებული იყო მთავრობისთვის წარედგინა გარანტია მგვტ-ზე 5,000 აშშ დოლარის მოცულობით კვლევის ეტაზე, ხოლო მშენებლობის ეტაპზე ან CFD-ს წამახალისებელ სქემაში ჩაბმის შემდგომ გარანტიების მიმართ მოთხოვნები იზრდებოდა. 2024 წლის 21 ოქტომბერს შევიდა ცვლილება მთავრობის 515 დადგენილებაში, რის მიხედვითაც, ქარის, მზის და 100 მგვტ.-მდე დადგმული სიმძლავრის ჰიდრო ელექტროსადგურები შესაძლოა გათავისუფლდნენ წინა-სამშენებლო გარანტიის წარდგენის ვალდებულებისგან, მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე. ეს ცვლილება მიზნად ისახავს ახალი განახლებადი წყაროების აღმოჩენას და განვითარებას.

ელექტროენერგიის ბალანსი, გვტ.სთ

	2019	2020	2021	2022	2023	2024F
შიდა მოხმარება, სულ	**12,759**	**12,136**	**13,730**	**14,165**	**13,053**	**13,700**
წლიური %-ლი ცვლილება	*1.4%*	*-4.9%*	*13.1%*	*3.2%*	*-7.9%*	*5.0%*
მათ შორის:						
აფხაზეთის რეგიონი	2,060	2,552	2,956	3,029	2,703	**2,632**
წლიური %-ლი ცვლილება	*7.2%*	*23.9%*	*15.8%*	*2.5%*	*-10.8%*	*-2.6%*
პირდაპირი მომხმარებლები	2,864	2,438	3,554	3,726	2,779	**3,168**
წლიური %-ლი ცვლილება	*59.6%*	*-14.9%*	*45.8%*	*4.8%*	*-25.4%*	*14.0%*
საცალო მოხმარება	7,835	7,146	7,219	7,411	7,572	**7,900**
წლიური %-ლი ცვლილება	*-11.6%*	*-8.8%*	*1.0%*	*2.7%*	*2.2%*	*4.3%*
გენერაცია, სულ	**11,865**	**11,160**	**12,645**	**14,247**	**14,396**	**13,895**
წლიური %-ლი ცვლილება	*-2.3%*	*-5.9%*	*13.3%*	*12.7%*	*1.0%*	*-3.5%*
მათ შორის:						
თბოსადგურები	2,840	2,821	2,380	3,388	3,446	2,215
წლიური %-ლი ცვლილება	*34.3%*	*-0.7%*	*-15.6%*	*42.4%*	*1.7%*	*-35.7%*
ქარის სადგურები	85	91	83	87	86	80
წლიური %-ლი ცვლილება	*0.5%*	*7.3%*	*-8.2%*	*5.0%*	*-1.6%*	*-7.1%*
ჰიდროსადგურები	8,940	8,248	10,182	10,771	10,863	11,600
წლიური %-ლი ცვლილება	*-10.1%*	*-7.7%*	*23.4%*	*5.8%*	*0.9%*	*6.8%*
საგარეო ვაჭრობა						
იმპორტი	1,627	1,610	2,006	1,533	790	850
წლიური %-ლი ცვლილება	*7.8%*	*-1.0%*	*24.6%*	*-23.6%*	*-48.5%*	*7.6%*
ექსპორტი	243	154	391	971	1,468	1,045
წლიური %-ლი ცვლილება	*-58.6%*	*-36.8%*	*154.2%*	*148.4%*	*51.2%*	*-28.8%*
სავაჭრო ბალანსი	**-1,383**	**-1,456**	**-1,615**	**-562**	**679**	**195**
წლიური %-ლი ცვლილება	*50.3%*	*5.3%*	*10.9%*	*-65.2%*	*-220.7%*	*-71.2%*
ტრანზიტი	**272**	**204**	**1,135**	**2,933**	**3,444**	**2,100**
წლიური %-ლი ცვლილება	*913.6%*	*-25.2%*	*457.8%*	*158.3%*	*17.4%*	*-39.0%*

ელექტროენერგიის ფასი, აშშ ცენტი

	2019	2020	2021	2022	2023	2024F
საბალანსო ელექტროენერგიის ფასი	4.8	5.0	4.9	5.5	5.3	5.7
წლიური %-ლი ცვლილება	*-5.4%*	*8.1%*	*-5.9%*	*17.0%*	*-6.2%*	*7.9%*
იმპორტის საშუალო ფასი	4.8	4.0	2.4	2.7	0.1	0.5
წლიური %-ლი ცვლილება	*-5.4%*	*8.1%*	*-5.9%*	*17.0%*	*-6.2%*	*273.4%*
ექსპორტის საშუალო ფასი	3.2	3.8	4.0	8.7	6.5	4.7
წლიური %-ლი ცვლილება	*-5.4%*	*8.1%*	*-5.9%*	*17.0%*	*-6.2%*	*-28.1%*

წყარო: სემეკი, საქსტატი, გალტ & თაგარტი

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან

გალტ & თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge